



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია



თბილისი 0108, გრიბოდვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000003572565020

№ 02-89-R

02 / ივნისი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის ფარგლებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, კონსერვატორიის შენობაში შესვლისათვის, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს მათა ტაბლიაშვილს დაევალოს მოამზადოს ცხრილი სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციებისა და 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის საფუძველზე.
2. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს მათა ტაბლიაშვილს დაევალოს ცხრილის რექტორისათვის მიწოდება.
3. სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს მათა ტაბლიაშვილს დაევალოს სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების ინფორმირება 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შესახებ.
4. ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, აგრეთვე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს დაევალოს მათ დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალისათვის 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის გაცნობა და სამსახურში გამოცხადების გრაფიკის შედგენა.
5. ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, აგრეთვე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს დაევალოს სამსახურში გამოცხადების გრაფიკის რექტორისათვის მიწოდება.
6. მიმართულების ხელმძღვანელებს დაევალოთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე კონცერტმაისტერების ინფორმირება სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შესახებ.
7. საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანებს დაევალოთ სტუდენტების ინფორმირება სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შესახებ.

8. სემინარიის დირექტორს დაევალოს სასწავლო დეპარტამენტთან კოორდინაციაში დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების სამეცადინო ცხრილის მომზადება და სასწავლო დეპარტამენტისათვის მიწოდება.
9. სემინარიის დირექტორს დაევალოს მოსწავლეების ინფორმირება სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის 2020 წლის 1 ივნისს რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის შესახებ.
10. ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემბრონულად



ნანა შარიქაძე